ცხრილი №18

ქრონიკული ქლამიდიური ურეთროპროსტატიტით დაავადებულებში ურეთრის გამონაყოფსა და წინამდებარე ჯირკვლის სეკრეტში ლეიკოციტების რაოდენობის ცვლილებები მკურნალობის შემდეგ

ავადმყოფთა ჯგუფები	ურეთრის გამონაყოფში მიკროსკოპით მხედველობის არეში ლეიკოციტების საშუალო რაოდენობა		P
	მკურნალობამდე	მკურნალობის შემდეგ	
I 45 ავადმყოფის	24,8 ± 0,6	16,6 ± 0,4	<0,001
II 41 ავადმყოფის	26,9 ± 0,9	3,2 ± 0,7	<0,001
III 38 ავადმყოფის	25,9 ± 0,8	4,7 ± 0,2	<0,01
ავადმყოფთა ჯგუფები	მიკროსკოპის მხედველობის არეში ლეიკოციტების საშუალო რაოდენობა წინამდებარე ჯირკვლის სეკრეტში		P
	მკურნალობამდე	მკურნალობის შემდეგ	
I 45 ავადმყოფის	26,5 ± 0,7	14,1 ± 0,7	<0,001
II 41 ავადმყოფის	24,2 ± 0,7	2,5 ± 0,8	<0,001
III 38 ავადმყოფის	25,1 ± 0,8	3,4 ± 0,1	<0,01

ცხრილის მონაცემებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ურეთრის გამონაყოფსა და პროსტატის წვენის საკონტროლო ანალიზში

ლეიკოციტების რაოდენობის შეფასებისას, ყველაზე კარგი შედეგები მივიღეთ პაციენტთა II ჯგუფში, რომლებსაც უტარდებოდათ მკურნალობა ანტიბიოტიკებით, იმუნომოდულატორ-ნეოვირით და ფიზიოთერაპიული პროცედურებით. პაციენტთა II ჯგუფს, მკურნალობის შემდეგ, ურეთრის გამონაყოფში აღენიშნებოდათ ლეიკოციტების ყველაზე დაბალი შემცველობა, ასევე დადებითი სამკურნალო ანთების საწინააღმდეგო ეფექტი მიღებულია ავადმყოფთა III ჯგუფში, რომლებიც იღებდნენ ანტიბიოტიკებს და იმუნომოდულატორ-ნეოვირს. პაციენტთა I ჯგუფში, მკურნალობის შემდეგ, ურეთრის გამონაყოფში ლეიკოციტების რიცხვი იყო ნორმაზე მაღალი. ყოველივე ზემოთ აღნიშნული მიუთითებს ფიზიოთერაპიული პროცედურების, ანტიბიოტიკოთერაპიისა და იმუნომოდულატორით კომპლექსური თერაპიის მაღალ ეფექტურობაზე ურეთრის ანთებითი პროცესის დროს.

თუ ვიმსჯელებთ წინამდებარე ჯირკვლის სეკრეტში ლეიკოციტების რაოდენობის შეფასების მიხედვით, მკურნალობის მაღალი ეფექტურობით პირველ ადგილზეა პაციენტების II ჯგუფი, შემდგომ მოდის III ჯგუფის პაციენტები, ხოლო ყველაზე დაბალი სამკურნალო ეფექტი აღინიშნა პაციენტთა I ჯგუფში. წინამდებარე ჯირკვლის სეკრეტში ლეიკოციტების რიცხვის შემცირება და მათი ნორმალიზაცია, განპირობებულია ანტიბიოტიკის შეღწევადობის გაზრდით წინამდებარე ჯირკვლის ქსოვილში და აშკარად გამოხატული ანთების საწინააღმდეგო ეფექტით. II ჯგუფის პაციენტებში ზემოთ აღნიშნული ეფექტი დაკავშირებულია ფიზიოთერაპიული პროცედურების ფონზე გამოწვეული ანტიბიოტიკის შეღწევადობის ზრდით პროსტატის ჯირკვლის ქსოვილში, სადაც ხდება სამკურნალო პრეპარატის მაღალი კონცენტრაციის წარმოქმნა. ავადმყოფთა I ჯგუფის შედეგების ანალიზმა ცხადყო, რომ მხოლოდ მედიკამენტოზური თერაპია არ იწვევს ლეიკოციტების რიცხვის შემცირებას პროსტატის წვენიში, რაც მეტყველებს ანტიბიოტიკების არასაკმარის შეღწევაზე ჯირკვლის ქსოვილში, მათი პერორალური მიღებისას.

ქრონიკული ქლამიდიური ურეთროპროსტატიტით დაავადებულების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან კვლევას წარმოადგენდა, ურეთრის გამონაყოფისა და პროსტატის წვენის ანალიზი ქლამიდიურ ინფექციაზე.

ქრონიკული ქლამიდიური ურეთროპროსტატიტით დაავადებულების, ქლამიდიურ ინფექციაზე მკურნალობის შემდგომი ლაბორატორიული მონაცემები განხილულია ცხრილში №19.

**ქრონიკული ქლამიდიური ურეთროპროსტატიტით დაავადებულებში
ურეთრის გამონაყოფისა და პროსტატის სეკრეტის მკურნალობის შემდგომი
გამოკვლევის შედეგები უროგენიტალურ ქლამიდიოზზე**

ავადმყოფთა ჯგუფები	ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგები ქლამიდიურ ინფექციაზე ურეთრის გამონაყოფში			
	აღმოჩნდა		არ აღმოჩნდა	
	რიცხვი	%	რიცხვი	%
I 45 ავადმყოფის	21	46,6	24	53,4
II 41 ავადმყოფის	2	4,9	39	95,1
III 38 ავადმყოფის	12	31,5	26	68,5
ავადმყოფთა ჯგუფები	ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგები ქლამიდიურ ინფექციაზე წინამდებარე ჯირკვლის სეკრეტში			
	აღმოჩნდა		არ აღმოჩნდა	
	რიცხვი	%	რიცხვი	%
I 45 ავადმყოფის	21	46,7	24	53,3
II 41 ავადმყოფის	2	4,9	40	97,6
III 38 ავადმყოფის	6	15,8	32	84,2

ცხრილიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ურეთრის გამონაყოფის საკონტროლო ანალიზი ქლამიდიურ ინფექციაზე საუკეთესო იყო პაციენტთა II ჯგუფში, რომლებიც ღებულობდნენ ანტიბიოტიკებს, იმუნომოდულატორ-ნეოვირს და იტარებდნენ ფიზიოთერაპიულ პროცედურებს. მკურნალობის დადებითი ეფექტის მიხედვით შემდეგ ადგილზეა III ჯგუფის პაციენტები, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელია I ჯგუფში. II ჯგუფის პაციენტების დამაკმაყოფილებელი სამკურნალო შედეგები განპირობებულია იმით, რომ ანტიბიოტიკების per os მიღებისას მისი გამოყოფა ხდება შარდთან

ერთად (გამოყოფის პერიოდი დამოკიდებულია ანტიბიოტიკების ჯგუფზე), რაც იწვევს ურეთრაში პრეპარატის მაღალ კონცენტრაციას. ფიზიოთერაპიული პროცედურების დროს, განსაკუთრებით ურეთრალურ პროცედურებთან ერთად, ანტიბიოტიკის ურეთრაში შეღწევადობა კიდევ უფრო იზრდება, რაც უზრუნველყოფს ქლამიდიური ინფექციის ლიკვიდირებას, სწორედ აქედან გამომდინარეობს ამ მეთოდის მაღალი ანტიქლამიდიური ეფექტი ურეთროპროსტატიტების მკურნალობის დროს.

უროგენიტალურ ქლამიდიურ ინფექციაზე წინამდებარე ჯირკვლის წველის ლაბორატორიული გამოკვლევის საკონტროლო შედეგები საუკეთესოა პაციენტთა II ჯგუფში, შედარებით ნაკლებია III ჯგუფში, ხოლო ავადმყოფთა I ჯგუფიდან მამაკაცთა ნახევარს ინფექცია დაუდგინდა მკურნალობის შემდეგაც. II ჯგუფის პაციენტებს მკურნალობის დადებითი შედეგი (რომლებიც დებულობდნენ ანტიბიოტიკებს, იმუნომოდულატორ ნეოვირის, იტარებდნენ ფიზიოთერაპიას ურეთრალური და რექტალური მანიპულაციების კომპლექსით), განპირობებულია ანტიბიოტიკების მაღალი კონცენტრაციის შექმნით პროსტატის ჯირკვალში. III ჯგუფის პაციენტებში მიღებული შედეგები, ამტკიცებს იმუნომოდულატორითა და ანტიბიოტიკის კომპლექსით მკურნალობის შედეგებით მაღალ ეფექტურობას, ვიდრე I ჯგუფის ავადმყოფებში, მხოლოდ ანტიბიოტიკების გამოყენებით, რაც არ უზრუნველყოფს ანტიბიოტიკის საკმარის კონცენტრაციას წინამდებარე ჯირკვალში და შესაბამისად არ იწვევს ქლამიდიური ინფექციის ლიკვიდაციას.

4.4 ჩატარებული მკურნალობის გავლენა იმუნურ სისტემაზე

მკურნალობის დამთავრებიდან, მინიმუმ ერთი თვის შემდეგ ჩატარებული საკონტროლო იმუნოლოგიური კვლევების შედეგების ანალიზის დროს, გამოვაკლინეთ, რომ პაციენტებს სამივე ჯგუფში, სისხლის შრატში აღენიშნებოდათ მნიშვნელოვანი ცვლილებები. მიღებული შედეგები მოცემულია ცხრილში №20

ქრონიკული ქლამიდიური ურეთროპროსტატიტით დაავადებულების
სისხლში Ig G, A, M-ის დინამიკური მაჩვენებლები მკურნალობამდე და
მკურნალობის შემდეგ

ავადმყოფთა ჯგუფები	IgG		P
	მკურნალობამდე	მკურნალობის შემდეგ	
I 45 ავადმყოფის	16,8 ± 0,4	11,6±0,3	<0,001
II 41 ავადმყოფის	16,5 ± 0,6	10,2±0,1	<0,001
III 38 ავადმყოფის	16,2 ± 0,5	11,5±0,5	<0,001
ავადმყოფთა ჯგუფები	IgA		P
	მკურნალობამდე	მკურნალობის შემდეგ	
I 45 ავადმყოფის	4,1 ± 0,4	2,7±0,4	<0,05
II 41 ავადმყოფის	4,5 ± 0,2	2,4±0,3	<0,01
III 38 ავადმყოფის	4,3 ± 0,2	2,5±0,1	<0,001
ავადმყოფთა ჯგუფები	IgM		P
	მკურნალობამდე	მკურნალობის შემდეგ	
I 45 ავადმყოფის	3,8 ± 0,2	2,8±0,1	<0,01
II 41 ავადმყოფის	4,1 ± 0,1	2,3±0,2	<0,001
III 38 ავადმყოფის	4,2 ± 0,3	2,5±0,6	<0,001

როგორც ცხრილი გვიჩვენებს, შარდ-სასქესო სისტემის ინფექციურ-ანთებითი პროცესების მკურნალობის სრული კურსის ჩატარების შემდეგ აღებული საკონტროლო ანალიზების მიხედვით ირკვევა, რომ იმუნოგლობულინების რაოდენობა შემცირდა პაციენტთა სამივე ჯგუფში.

ქლამიდური ეტიოლოგიის ქრონიკული ურეთროპროსტატიტით
დაავადებულების სისხლში T და B – ლიმფოციტების დინამიკური მაჩვენებლები
მკურნალობამდე და მკურნალობის შემდეგ

ავადმყოფთა ჯგუფები	T – ლიმფოციტები				P
	მკურნალობამდე		მკურნალობის შემდეგ		
	რიცხვი	%	რიცხვი	%	
I 45 ავადმყოფის	1147,2 ± 90,1	53,4 ± 1,6	1456,3 ± 93,1	63,7 ± 0,7	<0,05
II 41 ავადმყოფის	1138,4 ± 72,5	53,6 ± 1,3	1598,3 ± 86,2	68,1 ± 0,9	<0,001
III 38 ავადმყოფის	1159,2 ± 53,1	52,4 ± 1,8	1423,3 ± 73,4	62,2 ± 0,9	<0,05
ავადმყოფთა ჯგუფები	B – ლიმფოციტები				P
	მკურნალობამდე		მკურნალობის შემდეგ		
	რიცხვი	%	რიცხვი	%	
I 45 ავადმყოფის	197,5 ± 7,6	7,4 ± 0,7	221,3 ± 10,5	8,2 ± 0,4	>0,05
II 41 ავადმყოფის	211,3 ± 8,5	8,2 ± 0,8	233,4 ± 9,8	9,4 ± 0,3	>0,05
III 38 ავადმყოფის	207,2 ± 5,6	5,8 ± 0,2	224,7 ± 7,6	9,7 ± 0,2	>0,1

მკურნალობის კურსის ჩატარების შემდეგ ყველა ავადმყოფს მნიშვნელოვნად მოემატა T-ლიმფოციტების რაოდენობრივი მაჩვენებლები. ყველაზე მეტად T- ლიმფოციტების რაოდენობამ მოიმატა პაციენტთა II ჯგუფში, რომლებიც იტარებდნენ კომპლექსურ მკურნალობას ($p < 0,001$). აქედან გამომდინარეობს, რომ მკურნალობა ანტიბიოტიკებით, იმუნომოდულატორ-ნეოვირითა და ფიზიოთერაპიული პროცედურებით მნიშვნელოვან გამოსატულ მასტიმულირებელ ზეგავლენას ახდენს T-ლიმფოციტებზე.

მკურნალობის კურსის შემდეგ B-ლიმფოციტების სტატისტიკური მაჩვენებლების ცვლილებები არ გამოვლინდა, რაც, სავარაუდოდ, დაკავშირებულია ამ რგოლში გამოსატული დაზიანების არ არსებობასთან.

ცხრილი №22

ქრონიკული ქლამიდიური ურეთროპროსტატიტებით დაავადებულთა სისხლში T-ჰელპერებისა და T-სუპრესორების მაჩვენებლები მკურნალობამდე და მკურნალობის შემდეგ

ავადმყოფთა ჯგუფები	CD4 (T-ჰელპერები)				P
	მკურნალობამდე		მკურნალობის შემდეგ		
	რიცხვი	%	რიცხვი	%	
I 45 ავადმყოფის	639,2 ± 98,5	23,1 ± 1,6	1028,5 ± 125,1	44,1 ± 0,8	<0,05
II 41 ავადმყოფის	625,2 ± 50,6	24,2 ± 1,4	1132,42 ± 51,2	48,2 ± 0,9	<0,001
III 38 ავადმყოფის	632,4 ± 85,3	23,1 ± 2,2	954,4 ± 83,2	41,3 ± 0,5	<0,05
ავადმყოფთა ჯგუფები	CD8 (T-სუპრესორები)				P
	მკურნალობამდე		მკურნალობის შემდეგ		
	რიცხვი	%	რიცხვი	%	
I 45 ავადმყოფის	509,2 ± 23,1	28,1 ± 6,9	492,4 ± 25,4	19,5 ± 0,3	>0,1
II 41 ავადმყოფის	512,3 ± 25,2	28,2 ± 0,9	489,7 ± 20,1	20,1 ± 0,8	>0,1
III 38 ავადმყოფის	523,4 ± 18,9	28,5 ± 6,6	478,4 ± 21,2	21,2 ± 0,6	>0,1

მკურნალობის შემდეგ, T-ჰელპერების რაოდენობრივი მაჩვენებლების მატება აღინიშნება პაციენტთა სამივე ჯგუფში. განსაკუთრებული ცვლილებები გამოვლინდა პაციენტთა II ჯგუფში (p<0,001).

T-სუპრესორების რაოდენობრივი მაჩვენებლების რიცხვი სისხლის შრატში უცვლელი დარჩა მკურნალობის შემდეგაც, აქედან გამომდინარე, იმუნური სისტემის T რგოლის ცვლილებები, ძირითადად დაკავშირებულია T-ჰელპერების

სტიმულაციასთან. მკურნალობის შედეგად მოხდა T-სუპრესორებსა და T-ჰელპერებს შორის ბალანსის ნორმალიზაცია. ამ მხრივ ყველაზე თვალსაჩინო ცვლილებები მოხდა ავადმყოფთა II ჯგუფში.

4.5 მკურნალობის გავლენა წინამდებარე ჯირკვლის სტრუქტურულ-ფუნქციონალურ მდგომარეობაზე

მკურნალობის კურსის ჩატარების შემდეგ ყველა პაციენტს ჩაუტარდა საკონტროლო ულტრაბგერითი გამოკვლევა, აბდომინალურად და რექტალურად.


წინამდებარე ჯირკვლის მოცულობის შემცირება (2-4 სმ) აღენიშნება 72 (58%) პაციენტს, მათ შორის 5-ის (4%) მოცულობა არ სცილდება ნორმის ფარგლებს. ინფილტრაციისა და შეშუპების გაქრობა აღენიშნება 49 (39,5%) ავადმყოფს. 16 (12,9%) პაციენტს, რომლებსაც მკურნალობამდე აღენიშნებოდათ ნარჩენი შარდი, მკურნალობის შემდეგ იგი გაუქრა.

აშკარად გამოსატული ულტრაბგერითი ცვლილებები, მკურნალობის შემდეგ გამოვლინდა პაციენტთა II ჯგუფში, რომლებიც დებულობდნენ ანტიბიოტიკებს, იმუნომოდულატორ-ნეოვირსა და იტარებდნენ ფიზიოთერაპიულ პროცედურებს. დადებითი დინამიკა შეინიშნება აგრეთვე პაციენტთა III ჯგუფში, რომლებიც იტარებდნენ იმუნოთერაპიას იმუნომოდულატორ-ნეოვირით და დებულობდნენ ანტიბიოტიკებს. I ჯგუფის პაციენტებს, რომლებიც იტარებდნენ მხოლოდ მედიკამენტოზურ მკურნალობას, ულტრაბგერითი ცვლილებები ნაკლებად აღენიშნებათ.

ტრანსრექტალური ულტრაბგერითი კვლევის მიხედვით, წინამდებარე ჯირკვლის მორფო-ფუნქციონალური მდგომარეობა მკურნალობამდე და მკურნალობის შემდეგ, მოცემულია შემდეგ მაგალითებში:


მაგალითი 1. ავადმყოფი ა. 27 წლის (II ჯგუფი). დიაგნოზი შარდ-სასქესო სისტემის ქლამიდიური ეტიოლოგიის ქრონიკული ურეთროპროსტატიტი. სურათი 3 (მკურნალობამდე). წინამდებარე ჯირკვალი თანაბარი, არამკვეთრი კონტურებით. პროსტატის ჯირკვლის მოცულობა 22 სმ³. არაერთგვაროვანი სტრუქტურა დაბალი ექოგენობის (ქსოვილების შეშუპება) უბნების ხარჯზე, პერიპროსტატული ვენები 0,2-0,3 სმ, სათესლე ბუშტუკები სიმეტრიული დიამეტრით 1,1 სმ. ნარჩენი შარდი არ აღინიშნება.

სურათი №3



წინამდებარე ჯირკვალი თანაბარი, მკვეთრი კონტურებით. ჯირკვლის მოცულობა 18,4 სმ³. სტრუქტურა ერთგვაროვანი, საშუალო ექოგენობის. ქსოვილების შეშუპება დაბალი ექოგენობის უბნების სახით არ აღინიშნება. ვიზუალიზდება პერიპროსტატული ვენები დიამეტრით 0,2 სმ. სათესლე ბუშტუკები სიმეტრიული, ზომით 1,0 სმ.

სურათი №4 (მკურნალობის შემდეგ)




მაგალითი 2. ავადმყოფი ბ, 38 წლის (I ჯგუფი) დიაგნოზი: ქლამიდიური ეტიოლოგიის ქრონიკული ურეთროპროსტატიტი.

სურათი №5 (მკურნალობამდე)



სურათი №6



წინამდებარე ჯირკვალი მოცულობით 27,2 სმ, კონტურები თანაბარი, მკვეთრი. ჯირკვლის სტრუქტურა არათანაბარი.

როგორც მაგალითებმა და სურათები №3, №4, №5 და №6 გვიჩვენა, II ჯგუფის პაციენტებში მიღებული შედეგები, განსხვავებით I ჯგუფისაგან

(მაგალითი №3, სურათი №5 და №6), ამტკიცებს ფიზიოთერაპიული პროცედურებით (რექტალური+ურეთრალური) მკურნალობის ეფექტურობას, ქლამიდიური ეტიოლოგიით განპირობებული ქრონიკული პროსტატიტების დროს. I ჯგუფის ავადმყოფებში ანტიბიოტიკების მიღება, არ ქმნის ანტიბიოტიკის ზომიერ კონცენტრაციას წინამდებარე ჯირკვალში, შესაბამისად ვერ უზრუნველყოფს უროგენიტალური ქლამიდიის ლიკვიდაციას.

4.6. მკურნალობის გავლენა (ანტიბიოტიკით, იმუნომოდულატორ-ნეოვირითა და ფიზიოთერაპიის გამოყენებით) რეპროდუქციულ სისტემაზე

ჩატარებულმა კომპლექსურმა მკურნალობამ იმ ავადმყოფებში (II ჯგუფი), რომლებიც დაავადებული იყვნენ ქრონიკული ქლამიდიური ეტიოლოგიის ურეთროპროსტატიტით და აღენიშნებოდათ გარკვეული სახის დარღვევები რეპროდუქციული სისტემის მხრივ ცხადყო, რომ საკმაოდ მაღალია მისი თერაპიული ეფექტურობა. ფიზიოთერაპიული აპარატ “ярило–синхро”-ს საშუალებით ჩატარებული მკურნალობის შედეგები ადასტურებენ, რომ იმ მამაკაცებში, რომლებსაც აღენიშნებოდათ პათოსპერმია (სპერმატოგენეზის რეგულაციის დარღვევის ხარჯზე), მკვეთრად გამოიხატა ეაკულატის ზოგიერთი პარამეტრის ნორმალიზება. II ჯგუფის ავადმყოფების დიდ ნაწილში განკურნება მიღწეულია, როგორც კლინიკურად, ასევე ლაბორატორიული მონაცემების მიხედვით. გარკვეული პერიოდის მანძილზე ეაკულატებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ მათი მონაცემების ნორმალიზება მიმდინარეობს ეტაპობრივად, პათოლოგიის თითოეული საფეხურის გავლით – III ხარისხის ოლიგოზოოსპერმიიდან ზევით (II ხარისხის, შემდეგ I ხარისხის ოლიგოზოოსპერმია და ბოლოს ნორმოსპერმია). მკურნალობა ფიზიოთერაპიული მეთოდების გამოყენებით საკმაოდ მაღალეფექტურია, იგი არ ახდენს პათოლოგიურ ზემოქმედებას სპერმატოგენეზის პროცესზე, პირიქით, მკურნალობის შემდეგ უმჯობესდება სპერმომორფოგრამის მაჩვენებლები.

შედარებით ნაკლები სამკურნალო ეფექტი მივიღეთ III ჯგუფში, სადაც ქრონიკული ურეთროპროსტატიტით დაავადებული პაციენტების მკურნალობა მიმდინარეობდა ანტიბიოტიკით და იმუნომოდულატორ – ნეოვირით; ხოლო I ჯგუფში, სადაც ქრონიკული ურეთროპროსტატიტით დაავადებული პაციენტების მკურნალობა მიმდინარეობდა მხოლოდ ანტიბაქტერიული პრეპარატებით, შედეგი თითქმის არ გვაქვს. იხილეთ ცხრილები №23, №24 და №25.

ეაკულატის მონაცემები I ჯგუფის პაციენტებში (n=45)

ეაკულატი	ავადმყოფები			
	რაოდენობა		%	
	მკურნალო ბამდე	მკურნალობის შემდეგ	მკურნალო ბამდე	მკურნალობის შემდეგ
ნორმოსპერმია	-	1	-	2,2%
ასთენოზოსპერმია	9	10	20%	22,2%
ოლიგოზოსპერმია I	9	10	20%	22,2%
ოლიგოზოსპერმია II	8	7	17,8%	15,5%
ოლიგოზოსპერმია III	5	4	11,1%	8,9%
ასპერმია	3	3	6,7%	6,7%
სპერმაგლუტინაცია	5	4	11,1%	8,9%
ლეიკოციტოსპერმია	6	6	13,3%	13,3%
სულ:	45	45	100%	100%

ეაკულატის მონაცემები II ჯგუფის პაციენტებში (n=41)

ეაკულატი	ავადმყოფები			
	რაოდენობა		%	
	მკურნალო ბამდე	მკურნალობის შემდეგ	მკურნალო ბამდე	მკურნალობის შემდეგ
ნორმოსპერმია	-	11	-	26,8%
ასთენოზოსპერმია	7	15	17,1%	36,8%
ოლიგოზოსპერმია I	8	10	19,5%	24,4%
ოლიგოზოსპერმია II	7	1	17,1%	2,4%
ოლიგოზოსპერმია III	5	2	12,1%	4,8%
ასპერმია	4	2	9,8%	4,8%
სპერმაგლუტინაცია	4	-	9,8%	0%
ლეიკოციტოსპერმია	6	-	14,6%	0%
სულ:	41	41	100%	100%

ეაკულატის მონაცემები III ჯგუფის პაციენტებში (n=38)

ეაკულატი	ავადმყოფები			
	რაოდენობა		%	
	მკურნალო ბამდე	მკურნალობის შემდეგ	მკურნალო ბამდე	მკურნალობის შემდეგ
ნორმოსპერმია	-	3	-	7,9%
ასთენოზოსპერმია	6	9	15,8%	23,7%
ოლიგოზოსპერმია I	6	7	15,8%	18,4%
ოლიგოზოსპერმია II	6	4	15,8%	10,5%
ოლიგოზოსპერმია III	4	3	10,5%	7,9%
ასპერმია	4	3	10,5%	7,9%
სპერმაგლუტინაცია	5	4	13,2%	10,5%
ლეიკოციტოსპერმია	7	5	18,4%	13,1%
სულ:	38	38	100%	100%

მიღებული შედეგები ნათლად მეტყველებენ, რომ კომპლექსური სამკურნალო თერაპია უფრო ეფექტიანია ვიდრე სხვა ჩვენ მიერ განხილული მეთოდები. მეორე ჯგუფის პაციენტებში ეაკულატის ნორმალიზება მიღწეულია 11 (26,8%) პაციენტში, სპერმის სხვადასხვა პარამეტრები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა 28 (68,3%) მამაკაცს. ეაკულატის შეფასების დროს არ გვხვდება სპერმატოზოიდების ტერატოიდული ფორმები, სპერმაგლუტინაცია და ლეიკოციტოსპერმია. ორ მამაკაცს, რომლებსაც ქრონიკული ინფექციურ-ანთებითი პროცესის შედეგად აღენიშნებოდა ასპერმია, გამოწვეული თესლგამომტანი სადინრების ობტურაციით, ჩატარებული მკურნალობის შედეგად მოხდა ინფილტრაციული პროცესების გაწოვა და სპერმის მოძრაობის აღდგენა. I და III ჯგუფის პაციენტებში მიღებული შედეგები შედარებით ნაკლებია.

ქლამიდიური ეტიოლოგიის ქრონიკული ურეთროპროსტატიტით დაავადებული პაციენტების მკურნალობის (ანტიბიოტიკებით per os მიღება, იმუნომოდულატორ-ნეოვირით და ფიზიოთერაპიის მეთოდის გამოყენებით) მაღალი სამკურნალო ეფექტი განპირობებულია ანტიბიოტიკის მაღალი კონცენტრაციის უზრუნველყოფით შარდ-სასქესო სისტემის ორგანოთა ქსოვილების ანთებით კერებში, იმუნოლოგიური მაჩვენებლების გაუმჯობესებით და ანთებით-ინფილტრაციული პროცესების გაქრობით.

თავი 5. მიღებული შედეგების შესწავლა, განხილვა და დასკვნები

5.1 მიღებული შედეგების შესწავლა

მკურნალობის შემდგომ მიღებული შედეგები შესწავლილი იყო ქრონიკული ქლამიდიური ურეთროპროსტატიტით დაავადებულთა 3 ჯგუფში.

შესწავლილია 124 პაციენტის მკურნალობის შედეგები, მკურნალობის კურსის დასრულებიდან ერთი თვის შემდეგ და მომდევნო 12 თვის განმავლობაში. მკურნალობის შედეგების შეფასება ხდებოდა კლინიკური სიმპტომების, ლაბორატორიული გამოკვლევებისა და ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის საფუძველზე. კლინიკო-ლაბორატორიული გამოკვლევების შედეგებით 12 თვის მანძილზე რემისია მიღწეულია 38 (84,4%) პაციენტებში - I ჯგუფში, 39 (95,1%) პაციენტებში - II ჯგუფში და 32 (84,2%) პაციენტებში - III ჯგუფში. აქედან გამომდინარე ყველაზე ხანგრძლივი რემისია აღინიშნა პაციენტთა II ჯგუფში, რომლებიც იტარებდნენ კომპლექსურ თერაპიას.

ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის (რექტალური და აბდომინალური) მონაცემების მიხედვით, ყველაზე გამოხატული ცვლილებები აღინიშნება II და III ჯგუფებში, ხოლო I ჯგუფის პაციენტებში, რომლებიც იტარებდნენ მხოლოდ მედიკამენტოზურ თერაპიას, ულტრაბგერითი სურათი პრაქტიკულად არ შეცვლილა.

რეპროდუქციული ფუნქციის შეფასებისას, 12 თვის შემდეგ ჩატარებული საკონტროლო კვლევების დროს მიღებული ეაკულატის დადებითი შედეგი შენარჩუნებულია - I ჯგუფის პაციენტთა მხოლოდ 24,2%-ში, მეორე ჯგუფის 73,2% მამაკაცში, ხოლო მესამე ჯგუფში - პაციენტთა 48,4%-ში.

5.2. შედეგების განსჯა

5.2.1. მკურნალობამდე

უკანასკნელი წლების განმავლობაში, შარდსასქესო სისტემის დაავადებებიდან ყველაზე ფართო გავრცელება ჰპოვა შარდ-სასქესო სისტემის ქლამიდიური ეტიოლოგიით გამოწვეულმა ქრონიკულმა ურეთროპროსტატიტმა. რომელიც დიაგნოსტიკური და მკურნალობის მეთოდების მხრივ საკმაოდ დიდი სირთულეებით ხასიათდება. ანტიბიოტიკების მიმართ გამომწვევის მაღალი

რეზისტენტობა, გენიტალური ორგანოების მრავალკეროვანი დაზიანებები, აღმავალი ინფექციის განვითარების შესაძლებლობა, რეპროდუქციულ ფუნქციაზე უარყოფითი ზეგავლენა და სხვა მრავალი გართულება, პრობლემას უფრო აქტუალურს ხდის. ქლამიდიური ურეთროპროსტატიტი ხშირად მიმდინარეობენ ქრონიკულად, უსიმპტომოდ, მაგრამ ახასიათებთ პერიოდული გამწვავებები. დაავადებულის ორგანიზმში ქლამიდიური ინფექციის ხანგრძლივი არსებობა იწვევს მისი ბიოლოგიური თავისებურებების შეცვლასა და ანტიბიოტიკებისადმი უფრო მდგრადი, რეზისტენტული ფორმების ჩამოყალიბებას. ეს თავისებურებები, გათვალისწინებული უნდა იყოს ქლამიდიური ურეთროპროსტატიტით დაავადებული მამაკაცების მკურნალობის დროს.

ქრონიკული ქლამიდიური ეტიოლოგიის ურეთროპროსტატიტის სამკურნალოდ დღეისათვის გამოიყენებენ: ფართო სპექტრის ანტიბიოტიკებს (მაკროლიდები, ტეტრაციკლინი და სხვა), ფიზიოთერაპიულ საშუალებებს (ულტრაბერა, ლაზეროთერაპია, მაგნიტოთერაპია და სხვა) და იმუნომოდულატორებს. თუმცა, მათი დამოუკიდებელი, ცალ-ცალკე მოხმარება არ იძლევა მკურნალობის სასურველ შედეგებს. მკურნალობის პროცესში მხოლოდ ანტიბიოტიკების გამოყენება, ხშირად გამომწვევის რეზისტენტული ფორმებისა და ინფექციის რეციდივის მიზეზი ხდება, რაც მნიშვნელოვნად ართულებს დაავადების მიმდინარეობას და ზრდის განმეორებითი მკურნალობის ვადებს. ასევე მკურნალობის მოკლე კურსი არ არის საკმარისი ინფექციური აგენტის ლიკვიდაციისა და ორგანიზმიდან მისი ელიმინაციისათვის. ხოლო ანტიბაქტერიული პრეპარატების ხანგრძლივმა მიღებამ, თავისთავად შეიძლება გამოიწვიოს ორგანიზმის იმუნური რეაქციების შესუსტება, გაღიზიანებული ნაწლავის სინდრომის ჩამოყალიბება და ბევრი სხვა გართულება.

აქედან გამომდინარე ჩატარებული შრომის მიზანი იყო, მეცნიერულად დაგვესაბუთებინა და პრაქტიკაში ფართოდ დაგვეწერა ქრონიკული ქლამიდიური ურეთროპროსტატიტით დაავადებულების კომპლექსური მკურნალობის მეთოდი, რომელიც გაითვალისწინებდა ანტიბიოტიკების, იმუნომოდულატორ-ნეოვირისა და ფიზიოთერაპიული საშუალებების ერთობლივ გამოყენებას.

მიზნის მისაღწევად დავისახეთ შემდეგი ამოცანები:

1. შეგვესწავლა ქრონიკული ქლამიდიური ურეთროპროსტატიტით დაავადებული პაციენტების კომპლექსური მკურნალობის გავლენა კლინიკო-

ლაბორატორიულ მაჩვენებლებზე, იმუნურ სისტემაზე, პროსტატის ჯირკვლის სტრუქტურულ-ფუნქციონალურ მდგომარეობაზე და რეპროდუქციულ ფუნქციაზე.

2. მოცემული კატეგორიის ავადმყოფებისთვის შეგვეჩინა მკურნალობის ოპტიმალური მეთოდი, დაავადების გამომწვევის ეტიოპათოგენური ხასიათისა და ინფექციურ-ანთებითი პროცესის ლოკალიზაციის გათვალისწინებით.

3. შეგვეფასებინა ქრონიკული ქლამიდიური ურეთროპროსტატიტის კომპლექსური მკურნალობის ეფექტი, ადრეული და შერეული შედეგების გათვალისწინებით.

დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდა 124 ქრონიკული ქლამიდიური ურეთროპროსტატიტით დაავადებული, 20-დან 50 წლამდე. დაავადების ხანგრძლივობა იყო 3 თვიდან 10 წლამდე. ქრონიკული ქლამიდიური ურეთროპროსტატიტის გამო 53 (42,7%) მამაკაცი ქლამიდიური ეტიოლოგიის ურეთროპროსტატიტზე მკურნალობას ადრე იტარებდა სხვა სამედიცინო დაწესებულებებში, მაგრამ მათ მკურნალობას დადებითი შედეგი არ მოჰყოლია. ყველა მათგანი იტარებდა ანტიბაქტერიულ თერაპიას, 27 ავადმყოფი გადიოდა ფიზიოთერაპიულ მკურნალობას (ულტრაბგერით, ლაზერული, ტალახის და სხვა სახის პროცედურებით).

22 პაციენტს (17,8%) ყოველგვარი გამოკვლევების გარეშე ჩატარებული ჰქონდა თვითმკურნალობა, მეგობრის, ნათესავის, ფარმაცევტის რჩევით, ან სატელეფონო თუ რადიო რეკლამის ზეგავლენით.

19 (15,3) ავადმყოფმა მკურნალობა ჩაიტარა გინეკოლოგის, ან რეპროდუქტოლოგის ზეპირი დანიშნულების მიხედვით, მეუღლის ლაბორატორიული კვლევების საფუძველზე.

30 (24,2%) მამაკაცს ადრე სამედიცინო დაწესებულებისათვის არ მიუმართავს და რაიმე სახის მკურნალობა არ ჩაუტარებია.

ტკივილის სინდრომისთვის დამახასიათებელი გამოვლინება იყო ტკივილი შორისის არეში 57 (45,9%) პაციენტი, მუცლის ქვემოთა ნაწილში 52 (41,9%) მამაკაცი, ურეთრაში 34 (27,4%) ავადმყოფი, საზარდულის არეში - 28 (22,6%) პაციენტი.

ასთენონევროზული სინდრომი გამოვლინდა, სისუსტით 45 (36,3%) პაციენტში, ადვილად დაღლით 41 (33,1%) პაციენტში, გაღიზიანებადობით 35 (28,2%) პაციენტში, ძილის მოშლით 30 (14,2%) პაციენტში.

კოპულაციური დისფუნქციის სინდრომი გამოვლინდა - ლიბიდოს შემცირებით 32 (25,8%) პაციენტში, ერექციის მოშლით - 37 (29,8%) პაციენტში,

თესლისგამოყოფის დაჩქარება (ნაადრევი ეაკულაცია) – 27 (21,7%) მამაკაცი, ეაკულაციისა და ორგანიზმის დროს არასასიამოვნო შეგრძობა 24 (19,3%) ავადმყოფში.

რეპროდუქციული სისტემის შეფასების დროს არც ერთ მამაკაცს არ დაუდგინდა ეაკულატის მაღალფერტილური თვისებები, ანუ ნორმოსპერმია. ყველა პაციენტში დიაგნოსტირდა სხვადასხვა ხარისხის პათოსპერმია. იხილეთ თავი 3, ცხრილი №10.

წინამდებარე ჯირკვლის რექტალური გამოკვლევისას, პალპაციის დროს 72 (58,1%) პაციენტს აღენიშნებოდა მტკივნეულობა, 67 (54,0%) მამაკაცს ჯირკვლის ზომების მატება, 63 (50,8%) შემთხვევაში პასტოზურობა, 24 (19,3%) - წინამდებარე ჯირკვლის არაერთგვაროვნება.

უროგენიტალური ქლამიდიური ინფექციის დიაგნოსტიკისთვის გამოიყენებოდა დიაგნოსტიკის სხვადასხვა მეთოდი - იმუნოფლუოროსცენტიული, იმუნოფერმენტული და ასევე დნმ-დიაგნოსტიკა, რომელსაც გააჩნია მაღალი სპეციფიურობა და მგრძობელობა. მეთოდი ეფუძნება პროსტატის წვეწვში და ურეთრიდან ანაფსეკში ქლამიდიური დნმ-ის აღმოჩენას,

ურეთრის გამონაყოფისა და წინამდებარე ჯირკვლის სეკრეტის მიკროსკოპიული გამოკვლევისას, მკურნალობამდე, აღინიშნებოდა ლეიკოციტების რაოდენობის მომატება, რაც მიუთითებდა ორგანიზმში გამომწვევის შეჭრის შედეგად წარმოქმნილ ურეთრაში მიმდინარე ანთებით პროცესზე და აგრეთვე წინამდებარე ჯირკვლის ფუნქციის მოშლაზე.

ქრონიკული ქლამიდიური ურეთროპროსტატიტებით დაავადებულებში მკურნალობამდე G და M იმუნოგლობულინების დონე მერყეობდა ნორმის ფარგლებში, აღინიშნება მხოლოდ A იმუნოგლობულინის მატება, რაც დაკავშირებული იყო ორგანიზმში ინფექციის პერსისტირებასთან.

ჩვენ მიერ იმუნოლოგიური ლაბორატორული კვლევის დროს მიღებული შედეგები ცხადყოფს, რომ ქრონიკული ქლამიდიური ურეთროპროსტატიტით დაავადებულ პაციენტებში აღინიშნებოდა T-ლიმფოციტების “ჰელპერული” ფუნქციის დაქვეითება

ქლამიდიური ეტიოლოგიის ურეთროპროსტატიტით დაავადებულ მამაკაცებს აღინიშნებოდათ T- ლიმფოციტების საშუალო მაჩვენებლის კლება, ხოლო 48 (38,7%) ავადმყოფს T-ლიმფოციტები დაუდგინდა ნორმის ფარგლებში, საშუალოდ $1464,8 \pm 21,7$ კლ/მკლ (52,1±2,5%). პაციენტებში T-ლიმფოციტების რაოდენობის მატება არ აღინიშნებოდა.

B-ლიმფოციტების საშუალო მაჩვენებლები, ქრონიკული ქლამიდიური ეტიოლოგიის ურეთროპროსტატიტით დაავადებული მამაკაცების სისხლში რჩებოდა ნორმის ფარგლებში, ხოლო 43 (34,7%) პაციენტს აღენიშნებოდა B-ლიმფოციტების რიცხვის შემცირება საშუალოდ $176,4 \pm 12,3$ კლ/მკლ ($4,1 \pm 1,9\%$) ($p > 0,01$). დაავადებულ მამაკაცებში B-ლიმფოციტების რიცხვის მომატება არ აღინიშნებოდა.

წინამდებარე ჯირკვლის ულტრაბგერითი გამოკვლევა ხდებოდა რექტალური და აბდომინალური მიდგომით, სავსე შარდის ბუშტის მეთოდის გამოყენებით. პირველადი გამოკვლევისას, ხდებოდა წინამდებარე ჯირკვლის ცვლილებების საერთო შეფასება, შარდის ბუშტის მდგომარეობის და ნარჩენი შარდის რაოდენობის დადგენა. მეორე ეტაპზე გამოკვლევა ხდებოდა ტრანსრექტალურად, ამ დროს ხდებოდა ზომების ცვლილების, წინამდებარე ჯირკვლის მოცულობის განსაზღვრა, დეტალურად ხდებოდა მისი სტრუქტურული ცვლილებების შესწავლა.

ქრონიკული ქლამიდიური ურეთროპროსტატიტით დაავადებულების ულტრაბგერითმა გამოკვლევამ მკურნალობამდე 47 (37,9%) პაციენტში გამოავლინა წინამდებარე ჯირკვლის არაერთგვაროვნება, მაღალი ექოგენობის (უჯრედული ინფილტრაციის უბნები) და დაბალი ექოგენობის (ანთებითი შეშუპების უბნები) უბნების მონაცვლეობის ხარჯზე. 45 (36,3%) პაციენტს აღმოაჩნდა ექოგენობის დიფუზური მატება, სკლეროზული ცვლილებებისა და უჯრედული ინფილტრაციის ხარჯზე. 32 (25,8%) პაციენტს წინამდებარე ჯირკვლის ცვლილებები პრაქტიკულად არ აღენიშნება. 67 (54,0%) პაციენტს აღენიშნა წინამდებარე ჯირკვლის ზომების მატება (მოცულობა 20სმ^3 და მეტი). 43 (34,7%) პაციენტს აღენიშნება პროსტატის ჯირკვლის კონტურის დაკბილვა (ფიბროზული შეხორცების ხარჯზე). 16 (12,9%) ავადმყოფს გამოუვლინდა ნარჩენი შარდის მომატება.

5.2.2. მკურნალობის შემდეგ მიღებული შედეგების განხილვა

ყველა პაციენტი, მკურნალობის მეთოდის მიხედვით, გაყოფილი იყო სამ ჯგუფად. ისინი ძირითადად შეირჩნენ დაავადების კლინიკური გამოვლინებების მიხედვით.

I ჯგუფი (45 ავადმყოფი) - ქრონიკული ურეთროპროსტატიტით დაავადებული პაციენტების მკურნალობა მხოლოდ ანტიბაქტერიული პრეპარატებით.

II ჯგუფი (41 ავადმყოფი) – ქრონიკული ურეთროპროსტატიტით დაავადებული პაციენტების მკურნალობა ანტიბიოტიკით, იმუნომოდულატორ – ნეოვირით და ფიზიოთერაპიული მეთოდის გამოყენებით.

III ჯგუფი (38 ავადმყოფი) – ქრონიკული ურეთროპროსტატიტით დაავადებული პაციენტების მკურნალობა ანტიბაქტერიული პრეპარატებით, იმუნომოდულატორ – ნეოვირით.

პირველი ჯგუფის პაციენტების მკურნალობას ვახდენდით ანტიბიოტიკის per os მიღებით, მგრძნობელობის გათვალისწინებით, 8-10 დღის განმავლობაში, ვინაიდან, საერთაშორისო გაიდლაინების მიხედვით, უროგენიტალური ქლამიდიოზის მკურნალობის ხანგრძლივობა მერყეობს 1 დღიდან 10 დღემდე (ანტიბაქტერიული საშუალებების ჯგუფის მიხედვით), ხოლო თანდართული ქრონიკული ურეთროპროსტატიტის მკურნალობა კი ითვალისწინებს ანტიბიოტიკის მიღებას არანაკლებ 4 კვირისა.

მეორე ჯგუფის პაციენტების მკურნალობა მიმდინარეობდა შემდეგნაირად - მკურნალობას ვიწყებდით ინექციებით იმუნომოდულატორი – ნეოვირი 12,5% - 2 მლ (250 მგ) X 1 ამპულა დღეში ინტრამუსკულარულად 48 სთ-ში ერთხელ, სულ 10 ინექცია. მესამე ინექციის მერე ვუნიშნავდით რომელიმე ჯგუფის ანტიბიოტიკს per os, მგრძნობელობის მიხედვით 8-10 დღის განმავლობაში, ანტიბაქტერიული საშუალებების ჩართვიდან მეორე დღეს ვიწყებდით ფიზიოთერაპიულ პროცედურებს აპარატ “ярило–синхро“-ს მეშვეობით, რომელიც პროსტატის ჯირკვალზე მოქმედებს კომპლექსურად სამტალღოვანი ლაზერის და ელექტრონული ბიპოლარული სტიმულაციის იმპულსებით. შესაძლებელია კომბინირებული არსების ურთიერთქმედება, ასევე აპარატის რეჟიმისა და აგზნების სპექტრის არჩევა. კომბინირებული ლაზერი მოქმედებს ქსოვილების ღრმა შრეებში, რაც უზრუნველყოფს დაავადებული უბნების

გამოჯანმრთელებას. ლაზერული აგზნების სინქრონიზაცია და ელექტრული სტიმულაცია პაციენტის პულსთან ერთად იწვევს სინერგიულ ბიორეზონანსულ ეფექტს, რისთვისაც საკმარისია სუსტი, ორგანიზმისთვის კომფორტული, აგზნება, რომელიც მსგავსი იქნება პროსტატის ჯირკვალში მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესებისა.

თითოეული პაციენტისათვის ვარჩევდით ფიზიოთერაპიის ინდივიდუალურ სქემას და პროცედურების რაოდენობას (მინიმალური 6 პროცედურა, მაგრამ არაუმეტეს 12), რაც დამოკიდებული იყო ანთებითი პროცესის ხანგრძლივობაზე და პაციენტის ზოგად მდგომარეობაზე. მეთოდთა, სქემები და პროცედურის მიმდინარეობა ჩვენ მიერ გადმოცემულია თავი 2-ში.

ფიზიოთერაპიული აპარატ “ярило–синхро”-ს ტრანსრექტალური და ურეთრალური ერთობლივი მოქმედება ახდენს ანთების საწინააღმდეგო, ტკივილდამაყუჩებელ ეფექტს, აძლიერებს ადგილობრივ და საერთო ნივითიერებათა ცვლის პროცესებს, აუმჯობესებს წინამდებარე ჯირკვლის ქსოვილების ტროფიკას და სისხლის მიმოქცევას, ხელს უწყობს ანთებითი ინფილტრატის გაწოვას და დარბილებას.

დავადგინეთ, რომ ამ დროს, ანტიბიოტიკების შეღწევა წინამდებარე ჯირკვალსა და მის სეკრეტში გაცილებით მაღალია, ვიდრე მათი პარენტერალური შეყვანისას. ამასთან ანტიბიოტიკის მაღალი კონცენტრაცია, პროსტატის სეკრეტში, შენარჩუნებულია 2-5 საათის განმავლობაში და მხოლოდ 15 საათის შემდეგ ხდება მისი მნიშვნელოვანი შემცირება. კონცენტრაციის ეს დონე კი სავსებით საკმარისია უროგენიტელურ ქლამიდიაზე ზემოქმედებისთვის.

მკურნალობის კურსის ჩატარების შემდეგ ვახდენდით მიღებული შედეგების ეფექტურობის ანალიზს. ქრონიკული ქლამიდიური ურეთროპროსტატიტით დაავადებულთა 3 ჯგუფის მკურნალობის კურსის შემდეგ მიღებული კლინიკო-ლაბორატორიული მაჩვენებლების მიხედვით, ვადგენდით:

- ა) ქლამიდიური ეტიოლოგიის ქრონიკული ურეთროპროსტატიტის კლინიკური გამოვლინების ხარისხს;
- ბ) ანთების პროცესის აქტივობის ხარისხს წინამდებარე ჯირკვლის სეკრეტისა და ურეთრის გამონაყოფში;
- გ) მიკროსკოპული გამოკვლევით, ურეთრის გამონაყოფსა და წინამდებარე ჯირკვლის სეკრეტში უროგენიტალური ქლამიდიური ინფექციის არსებობას;
- დ) ვაფასებდით ორგანიზმის იმუნიტეტის მდგომარეობას;

ე) ულტრაბგერითი დიაგნოსტიკით წიმანდებარე ჯირკვლის სტრუქტურულ-ფუნქციონალურ აგებულებას;

ვ) ეაკულატის კვლევით ვაფასებდით რეპროდუქციულ ფუნქციას.

ქრონიკული ქლამიდიური ურეთროპროსტატიტით დაავადებულების კლინიკური გამოვლინების ანალიზისას, ვითვალისწინებდით ტკივილის, დიზურიულ, ასთენონევროზულ და კოპულაციურ სინდრომებს.

მკურნალობის შედეგების მონაცემების მიხედვით შეიძლება ვთქვათ, რომ ყველაზე კარგი შედეგი აღინიშნება II ჯგუფის პაციენტებში, რომლებიც იტარებდნენ კომპლექსურ მკურნალობას, ანტიბიოტიკებით, იმუნომოდულატორ-ნეოვირისა და ფიზიოთერაპიული საშუალებებით. ამ ჯგუფში ტკივილის სინდრომი გაუქრა 37 (90,2%) ავადმყოფს, დიზურიული მოვლენები - 35 (85,4%) ავადმყოფს, ასთენონევროზული სინდრომი - 32 (78,1%) პაციენტს, ხოლო კოპულაციური დისფუნქციის სინდრომი გაუქრა 28 (68,3%) მამაკაცს. რეპროდუქციული ფუნქციის ნორმალიზება მოხდა მეორე ჯგუფის 11 (26,8%) მამაკაცში. ყოველივე ეს მიუთითებს კომპლექსური მკურნალობის ეფექტურობას სხვა მეთოდებთან შედარებით.

მკურნალობის შემდეგ ანთებითი პროცესის აქტივობის ხარისხი შეიცვალა შემდეგნაირად. ურეთრის ნაცხების საკონტროლო ანალიზების საუკეთესო შედეგი გამოვლინდა II ჯგუფში, სადაც ტარდებოდა მკურნალობა ანტიბიოტიკებით, იმუნომოდულატორ-ნეოვირითა და ფიზიოთერაპიული პროცედურებით. მკურნალობის შემდეგ, ურეთრის ნაცხების გამოკვლევისას II ჯგუფში, ლეიკოციტების საშუალო რაოდენობა იყო $3,2 \pm 0,7$ ($p < 0,001$). შემდეგ I ჯგუფში - $16,6 \pm 0,4$ ($p < 0,001$), ხოლო III ჯგუფში $4,7 \pm 0,2$ ($p < 0,001$). I ჯგუფში მიღებული დაბალი შედეგები განპირობებულია იმით, რომ მხოლოდ ანტიბიოტიკო თერაპია არ არის საკმარისი დადებითი თერაპიული ეფექტის მისაღებად, არამედ, სასურველია, სულ მცირე იმუნომარეგულირებელი საშუალებების ჩართვა მკურნალობის სქემებში და, საბოლოოდ, ფიზიოპროცედურების დამატება. რაც ნათლადაა დემონსტრირებული II და III ჯგუფის მაგალითზე, სადაც ლეიკოციტების რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდა.

წინამდებარე ჯირკვლის სექრეტში მკურნალობის შემდეგ, ლეიკოციტების რაოდენობის შეფასებისას, შედეგები გამოიყურებოდა შემდეგნაირად: მკურნალობის ეფექტურობის მიხედვით, პირველ ადგილზეა II ჯგუფის მამაკაცების შედეგები, სადაც ლეიკოციტების საშუალო რაოდენობა შეადგენდა $2,5 \pm 0,8$ ($p < 0,001$), III ჯგუფში - $3,4 \pm 0,1$ ($p < 0,001$), ხოლო I ჯგუფში - $14,1 \pm 0,7$

($p < 0,001$). III ჯგუფის პაციენტებში, პროსტატის წვენში ლეიკოციტების რაოდენობის შემცირება, განპირობებულია ანთების საწინააღმდეგო ეფექტისთვის საკმარისი ანტიბიოტიკის კონცენტრაციით, რაც იმუნომარეგულირებელი საშუალებების გამოყენებით უნდა აიხსნას. I ჯგუფის მაგალითზე კარგად ჩანს, რომ მარტო მედიკამენტოზურმა თერაპიამ არ გამოიწვია პროსტატის წვენში ლეიკოციტების რაოდენობის შემცირება, რაც განპირობებულია იმით, რომ ანტიბიოტიკი მხოლოდ per os მიღებისას საკმარისი რაოდენობით არ შეიწოვება პროსტატის ჯირკვალში. საუკეთესო შედეგი II ჯგუფში განპირობებულია ანტიბაქტერიული პრეპარატის მაღალი კონცენტრაციით წინამდებარე ჯირკვალში, რაც გამოწვეულია სამკურნალო საშუალების შეღწევადობის გაზრდით დამხმარე საშუალებების გამოყენების ხარჯზე.

ქრონიკული ქლამიდიური ეტიოლოგიის ურეთროპროსტატიტების მკურნალობის ეფექტურობის შესაფასებლად ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ურეთრის გამონაყოფისა და პროსტატის წვენის საკონტროლო კვლევა უროგენიტალურ ქლამიდიურ ინფექციაზე.

მკურნალობის კურსის შემდეგ მივიღეთ შემდეგი შედეგები: II ჯგუფის პაციენტებში ურეთრის გამონაყოფში ქლამიდია არ აღმოჩნდა 39 (95,1%) ავადმყოფში, I ჯგუფში – 24 (53,4%), ხოლო III ჯგუფში 16 (42,1%) ავადმყოფებში. წინამდებარე ჯირკვლის სეკრეტში უროგენიტალური ქლამიდიური ინფექცია არ დაუდგინდა II ჯგუფის 40 (97,6%) პაციენტს, III ჯგუფში - 32 (84,2%), ხოლო I ჯგუფში 24 (53,3%) პაციენტს. მიღებული შედეგების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ კომპლექსური მკურნალობა ანტიბიოტიკებით, იმუნომოდულატორ-ნეოვირითა და ფიზიოთერაპიული პროცედურებით გამოირჩევა მაღალი ეფექტურობით ქრონიკული ქლამიდიური ურეთროპროსტატიტის სამკურნალოდ. კომპლექსური მკურნალობის ქვეშ მყოფ ავადმყოფთა ჯგუფში ქლამიდია არ აღმოჩნდა, ურეთრის ნაცხებში 39 (95,1%) ავადმყოფში, პროსტატის წვენში 40 (97,6%) ავადმყოფში. ეს მაჩვენებლები საკმარის მაღალია სხვა ჯგუფის მონაცემებთან შედარებით.

II ჯგუფში მკურნალობის შედეგად მიღებული მონაცემები საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ანტიბიოტიკების მიღებასთან ერთად ფიზიოთერაპიის რექტალური და ურეთრალური პროცედურების გამოყენება იწვევს ურეთრასა და წინამდებარე ჯირკვლის სეკრეტში ანტიბიოტიკის ისეთი კონცენტრაციის

მიღწევას, რომელიც სავსებით საკმარისია ურეგენიტალური ქლამიდიური ინფექციის აღმოფხვრისათვის.

ქრონიკული ქლამიდიური ეტიოლოგიის ურეთროპროსტატიტით დაავადებულების მკურნალობის შემდეგ, ქლამიდიურ ინფექციაზე საკონტროლო ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგები ბევრი რამით ემთხვევა წინამდებარე ჯირკვლის სეკრეტისა და ურეთრის გამონაყოფში ლეიკოციტების რაოდენობის საკონტროლო ანალიზების შედეგებს. ასე, მაგალითად: ურეთრის გამონაყოფში, მკურნალობის შედეგების ეფექტურობა უფრო მაღალი იყო II ჯგუფში III ჯგუფის ავადმყოფებთან შედარებით, რომლებიც მკურნალობდნენ იმუნომოდულატორ ნეოვირითა და ანტიბიოტიკით. I ჯგუფის ავადმყოფებში დაბალი სამკურნალო შედეგები განპირობებულია იმით, რომ ანტიბიოტიკების per os მიღებისას მათი გამოყოფა რამდენიმე საათის შემდეგ ხდება შარდთან ერთად, რის გამოც ვერ ხერხდება ხანგრძლივი დროით (თუნდაც 24 საათით) მისი კონცენტრაციის შენარჩუნება ურეთრასა და წინემდებარე ჯირკვალში

რექტალური და ურეთრალური ფიზიოთერაპიული პროცედურები უზრუნველყოფს ანტიბიოტიკების შეღწევადობას და მათ კუმულირებას, რაც საკმარისია ურეთრაში ქლამიდიური ინფექციის ლიკვიდაცისათვის, სწორედ ამით აიხსნება ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგები II ჯგუფის პაციენტებში, I და III ჯგუფის ავადმყოფებთან შედარებით.

პროსტატის წველის გამოკვლევის შემდეგ ქლამიდიური ინფექცია (მკურნალობის შემდეგ) არ გამოვლინდა II ჯგუფის 40 (97,6%) პაციენტში. ეს საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია იმისათვის, რომ დავადასტუროთ კომპლექსური მკურნალობის უფრო მაღალი ეფექტურობა, ქრონიკული ქლამიდიური ურეთროპროსტატიტის სამკურნალოდ. I ჯგუფის პაციენტებში მკურნალობის კურსის დაბალი ეფექტურობა განპირობებულია, მხოლოდ მედიკამენტოზური თერაპიის დროს, წამლის კონცენტრაციის არასაკმარისი რაოდენობით წინამდებარე ჯირკვალში, რის შედეგადაც ვერ ხდება ქლამიდიური ინფექციის სრული ლიკვიდაცია.

მიღებული საკონტროლო კვლევებიდან გამომდინარე, საუკეთესო თერაპიული შედეგი აღინიშნებოდა II ჯგუფის პაციენტებში, რომლებსაც უტარდებოდათ კომპლექსური მკურნალობა. რაც დაკავშირებულია სხვადსხვა ჯგუფის ანტიბიოტიკების მაღალი კონცენტრაციისა და კუმულაციის არსებობით ურეთრასა და წინამდებარე ჯირკვალში, ფიზიოთერაპიული პროცედურებისა და იმუნომოდულატორ-ნეოვირის ერთობლივი გამოყენების დროს. რაც საბოლოო

ჯამში იწვევს გენიტალური ქლამიდიური ინფექციის აღმოფხვრას და ანთებითი კერების ჩაქრობას.

მკურნალობის შემდეგ საკონტროლო იმუნოლოგიურმა გამოკვლევებმა, ქრონიკული ქლამიდიური ეტიოლოგიის ურეთროპროსტატიტით დაავადებულთა სისხლის პლაზმაში გვიჩვენა, რომ შეინიშნება მნიშვნელოვანი ცვლილებები. კერძოდ 1 თვის შემდეგ სისხლის პლაზმაში იმუნური სისტემის ზოგიერთი მაჩვენებლის შესწავლამ გამოავლინა T-ჰელპერების რაოდენობრივი მაჩვენებლების მატება პაციენტთა სამივე ჯგუფში, მაგრამ განსაკუთრებული ცვლილებები გამოვლინდა პაციენტთა II ჯგუფში ($p < 0,001$).

მკურნალობის შემდეგ T-სუპრესორების რაოდენობრივი მაჩვენებლების რიცხვი სისხლის შრატში უცვლელი დარჩა. აქედან გამომდინარე, იმუნური სისტემის T რგოლის ცვლილებები ძირითადად დაკავშირებულია T-ჰელპერების სტიმულაციასთან. მკურნალობის შედეგად მოხდა T-სუპრესორებსა და T-ჰელპერებს შორის ბალანსის ნორმალიზაცია. ამ მხრივ ყველაზე თვალსაჩინო ცვლილებები მოხდა ავადმყოფთა II ჯგუფში.

სისხლში T ლიმფოციტების დინამიკურმა მაჩვენებლებმა გვიჩვენა, რომ მკურნალობის კურსის ჩატარების შემდეგ ყველა ავადმყოფს მნიშვნელოვნად მოემატა მათი რაოდენობრივი მაჩვენებლები. ყველაზე მეტად მოიმატა პაციენტთა II ჯგუფში, რომლებიც იტარებდნენ კომპლექსურ მკურნალობას ($p < 0,001$). აქედან გამომდინარეობს, რომ მკურნალობა ანტიბიოტიკებით, იმუნომოდულატორ-ნეოვირითა და ფიზიოთერაპიით მნიშვნელოვან გამოსატულ მასტიმულირებელ ზეგავლენას ახდენს T-ლიმფოციტებზე.

B-ლიმფოციტების მაჩვენებლები, მკურნალობის შემდეგ, შეიცვალა უმნიშვნელოდ სამივე ჯგუფის პაციენტებში. მკურნალობის შემდეგ აღინიშნება B-ლიმფოციტების რაოდენობის უმნიშვნელო მატება, თუმცა მათი საშუალო მაჩვენებლები რჩებოდა ნორმის ფარგლებში, რაც, სავარაუდოდ, დაკავშირებულია ამ რგოლის გამოსატული დაზიანების არ არსებობასთან.

რაც შეეხება სისხლში Ig G, A, M-ის დინამიკურ მაჩვენებლებს მკურნალობის შემდეგ, ირკვევა, რომ შარდ-სასქესო სისტემის ინფექციურ-ანთებითი პროცესების მკურნალობის სრული კურსის ჩატარების შემდეგ იმუნოგლობულინების რაოდენობა შემცირდა პაციენტთა სამივე ჯგუფში.

ულტრაბერითი გამოკვლევით (რექტალურადაც და აბდომინალურადაც), პროსტატის ჯირკვლის მოცულობის შემცირება 2-4 სმ აღინიშნებოდა 72 (58%) პაციენტში, მათ შორის 5 (4%) ავადმყოფის საბოლოო ზომები არ აღემატებოდა

ნორმის ფარგლებს. შეშუპებისა და ინფილტრაციის გაქრობა აღენიშნა 49 (39,5%) ავადმყოფს.

მკურნალობამდე ნარჩენი შარდის მქონე 16 (12,9%) პაციენტს, მკურნალობის შემდეგ ეს სიმპტომი გაუქრა.

ყველაზე მეტად გამოხატული ულტრაბგერითი ცვლილებები, მკურნალობის კურსის შემდეგ გამოუვლინდა პაციენტთა II და III ჯგუფს, რაც განაპირობა მოცემულ ავადმყოფებში მკურნალობის განსხვავებული სქემების გამოყენებამ.

ჩატარებულმა გამოკვლევებმა საშუალება მოგვცა პათოგენეზურად განვსაზღვროთ ანტიბიოტიკების, იმუნომოდულატორ ნეოვირისა რექტალურ-ურეთრალური ფიზიოპროცედურების გამოყენება ქრონიკული ქლამიდიური ეტიოლოგიის ურეთროპროსტატიტით დაავადებულთა სამკურნალოდ.

ქლამიდიური ინფექციური ეტიოლოგიით განპირობებული ქრონიკული ურეთროპროსტატიტის დაავადებულების სამკურნალოდ, მაღალი თერაპიული ეფექტი აქვს კომპლექსურ მკურნალობას მოკლე კურსით (18-20 დღე). ქრონიკული ქლამიდიური ურეთროპროსტატიტის სამკურნალოდ შემოთავაზებული მეთოდის გამოყენებისას, პრაქტიკულად გამორიცხულია გამომწვევის რეზისტენტული ფორმების ჩამოყალიბება ანტიბიოტიკების მიმართ და დაავადების რეციდივი.

კომპლექსური მკურნალობა იწვევს ხანგრძლივ და მყარ რემისიას, რაც განპირობებულია სრული ეტიოლოგიური და კლინიკური განკურნებით პაციენტთა უმრავლესობაში.

5.3. დასკვნები

1. ქრონიკული უროგენიტალური ქლამიდიური ეტიოლოგიის ურეთროპროსტატიტის სამკურნალოდ კომპლექსურ თერაპიას იმუნომოდულატორ-ნეოვირის, ანტიბიოტიკისა და ფიზიოთერაპიული აპარატ “Ярило-синхро”-ს გამოყენებით, საკმაოდ მაღალი თერაპიული შედეგი აქვს, ვინაიდან იგი საშუალებას იძლევა მოხდეს სრული ეტიოლოგიური და კლინიკური განკურნება პაციენტთა უდიდეს ნაწილში.

2. ქრონიკული ქლამიდიური ურეთროპროსტატიტით დაავადებულებში მოცემული მეთოდის გამოყენება, პრაქტიკულად გამორიცხავს ანთებითი პროცესის გამომწვევი ინფექციური აგენტის ანტიბიოტიკებისადმი

რეზისტენტული ფორმების ჩამოყალიბებას და დაავადების რეციდივის განვითარებას.

3. ქრონიკული ქლამიდიური ურეთროპროსტატიტით დაავადებულების კომპლექსური მკურნალობა ახდენს მასტიმულირებელ და დადებით თერაპიულ ზეგავლენას ორგანიზმის იმუნიტეტის T უჯრედულ რგოლზე, იწვევს სისხლში მათი შემცველობის ნორმალიზებას.

4. ულტრაბგერითი გამოკვლევების მაჩვენებლების მიხედვით, ქრონიკული ქლამიდიური ურეთროპროსტატიტით დაავადებულების კომპლექსური მკურნალობა იწვევს წინამდებარე ჯირკვლის მოცულობის შემცირებას, ინფილტრაციის, შეშუპებისა და ნარჩენი შარდის გაქრობას, რაც საბოლოო ჯამში მიუთითებს წინამდებარე ჯირკვლის სტრუქტურულ ნორმალიზაციაზე და შარდის ბუშტის ნორმალურ ფუნქციონირებაზე.

5. ქრონიკული ქლამიდიური ეტიოლოგიის ურეთროპროსტატიტით დაავადებულ მამაკაცებში ჩატარებული კომპლექსური მკურნალობა უზრუნველყოფს ეაკულატის მაჩვენებლების გაუმჯობესებასა და ნორმალიზებას, მისი ფერტილური თვისებების აღდგენას და შენარჩუნებას არანაკლებ 12 თვის მანძილზე.

6. მკურნალობის შედეგების მონაცემების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ პაციენტებში, რომლებიც იტარებდნენ კომპლექსურ მკურნალობას ანტიბიოტიკებით, იმუნომოდულატორ-ნეოვირისა და ფიზიოთერაპიული აპარატ “ярило–синхро”-თი, ტკივილის, დიზურიული, ასთენონევროზული და კოპულაციური დისფუნქციის სინდრომები გაუქრა მამაკაცთა უმეტესობას.

5.4 პრაქტიკული რეკომენდაცია

ქრონიკული უროგენიტალური ქლამიდიური ეტიოლოგიის ურეთროპროსტატიტის სამკურნალოდ რეკომენდირებულია კომპლექსური სამკურნალო თერაპიის გამოყენება, კერძოდ, ანტიბიოტიკებით (მგრძნობელობის მიხედვით), იმუნომოდულატორ-ნეოვირითა და ფიზიოთერაპიული აპარატ “ярило–синхро“-ს გამოყენებით (ურეთრალური და რექტალური მანიპულაციებით).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სშჯსდს (2010). „საქართველოს შრომის , ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო“. დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“. ჯანმრთელობის დაცვა, საქართველო 2009 სტატისტიკური ცნობარი (Tbilisi. 2010) : 1-5
2. სშჯსდს (2011). “საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო“. დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“. ჯანმრთელობის დაცვა, საქართველო 2010: 29-34
3. სშჯსდს (2011). “საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო“. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის 2011 – 2015 წწ. სახელმწიფო სტრატეგია (Tbilisi. 2011).
4. ჩხიკვიშვილი, ნ., სქესობრივი გზით გადამდები ინფექციებით დაავადებულთა ეპიდემიოლოგიური, სოციალური და პიროვნული მახასიათებლები. დისერტაცია წარმოდგენილი მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, 2006(თბილისი2006): 97.
5. Абрамович, С. Г., В. В. Адилев and П. В. Антипенко (2009). "Физиотерапия: национальное Руководство." Издательство группа "ГЕОТАР – МЕДИА": 105-163.
6. Александров, В. П. and В. В. Михайличенко (2005). "Урология и Андрология." Справочник для врачей(Издательство "СОВА"): 574.
7. Амозова, И. В. (2008). "Результаты анализа мониторинга по вопросам сексуального образования среди подростков " Тезисы науч. работ X Всерос. Съезда дерматовенерологов / под ред. А.А. Кубановой: 59.
8. Аполихин, О. И., И. И. Абдуллин, А. В. Сивков, В. Н. Оценков, etal. (2004). "Хронический простатит." Урология(3): 16-17.
9. Арал, С. О. (2004). "Заболевания, передаваемые половым путем: значение, определявшие факторы и последствия " Инфекции, передаваемые половым путем(4): 21-28.
10. Баткаев, Э. А. and Д. В. Рюмин (2003). "Актуальные вопросы антибиотикотерапии при урогенитальном хламидиозе " Клинич. дерматология и венерология(3): 13-19.
11. Бойко, Н. И. (2004). "Нарушение репродукции при простатите/синдроме хронической тазовой боли." Международный медицинский журнал(3): 141-142.
12. Боровикова, Е. И. (2007). "Комплексная терапия хламидийной инфекции в акушерстве и гинекологии." «Вопросы гинекологии, акушерства и перинатологии»(6): 90-93.

13. Воронцов, Т. Н. (2007). "Физиологические аспекты локальной иммунорегуляции при лечении хронической урогенитальной хламидийной инфекции у мужчин." (Курган, 2007): 23.
14. Галимов, Ш. Н., Р. Р. Фархутдинов, Д. С. Громенко and З. Х. Хамзина (2006). "Патогенез патоспермии при поражении придатков яичек у инфертильных мужчин." Мужское здоровье и долголетие. Материалы 4-го Российского научного форума: 32.
